


1936

საქართველოს
ბავშვთა ჟურნალი

ქორნეარი



№ 1936


18 ივნისს, დღის 11 საათსა და 10 წუთზე კულისა და სუნთქვის დამბლის მოკლევნებით კარდაიცვალა ზოლუტარული მწერლობის მამამთავარი, მხატვრული სიტუვის უდიდესი ოსტატი

ალექსი მაქსიმეს-ძე

გორკი

20 ივნისს მისი უფრთელი კრემლის კედელმა მიიბარა.

ძიელი მსოფლიო და კანსაკუთრებით საბჭოთა კავშირი გულისტკივილით კლოფობს სუკვარული მწერლის, უდიდესი ადამიანის ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის დაკარგვას. გორკის სახელი ღრმად არის ჩამარსული თითოეული ძმროძელის გულში. მისი ძვირფასი ხსოვნა სუკუნეებს გადასწვდება.



ნორჩი ლენინლის იუბილე

მხოლოდ ხუთმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ვაზ. „ნორჩი ლენინელი“ პირველად ესტუმრა თავის ნორჩ მკითხველს. ხუთი წელი არ არის დიდი მანძილი, მაგრამ დილია ის გამარჯვებები, რომელსაც ამ ხუთი წლის განმავლობაში მიაღწია ვაზ. „ნორჩმა ლენინელმა“.

თითქმის არ მოიპოვება ისეთი პიონერი, რომელიც არ იცნობდეს თავის ვაზეთს, არ კითხულობდეს მას. ბევრი მათგანი კი არა მარტო კითხულობს, არამედ სისტემატურად ბეჭდავს თავის კორესპონდენციებს, ლექსებს, შოთხრობებს. ვაზ. „ნორჩ ლენინელს“ ბავშვკორების მთელი რაზმი ჰყავს. ვაზეთის ფურცლებზე თქვენ ხშირად ამოიკითხავთ რომელიმე წერილის ან ლექსის ქვეშ სისო კინწურაშვილის, რუბენ ჭოხონელიძის, ნიკოლოზ ჯაშის, მარგო ქარიძის, ოთარ გვინჩიძის, ჯოდორ დადიანის, ყენია ოქიტაშვილისა და სხვების გვარებს. ისინი წერენ თავის ვაზეთში იმ ნაკლისა და შიღწევების შესახებ, რომელსაც ადგილი აქვს მათ სკოლაში, რაზმში თუ კლასში.

საქართველოს პიონერებს უყვართ „ნორჩი ლენინელი“, უყვართ იმიტომ, რომ ამ ვაზეთის ფურცლებზე ისინი კითხულობენ ცნობებს თავისი საყოთარი ცხოვრების, თავისი ბედნიერი ცხოვრების შესახებ, უყვართ იმიტომაც, რომ ამ ვაზეთით ეცნობიან უცხო ქვეყნების მუშების ვიდეების უმწეო მდგომარეობას, რაც თითოეული მათგანის პაწია თავში ათასწარ საგმირო გეგმას აღძრავს მომავლისათვის კაპიტალიზმის კლანჭებში მოქცეული შორეული შვიტობრების დასახსნელად.

„ნორჩი ლენინელი“ ბავშვებს უყვართ კიდევ იმიტომ, რომ მის ფურცლებზე ისინი ხშირად კითხულობენ საუკეთესო მწერლების მხატვრულ ნაწარმოებებს – ლექსებსა და მოთხრობებს. იმიტომ ეს ვაზეთი არამც თუ ბავშვებისათვის, მოზრდილებისათვისაც კი საინტერესო და მიმზიდველია. ვის არ მიზიდავს ის ბედნიერი, ლალი, მზარეული და ლამაზი სახეები საუკეთესო ფრიადოსანი ბავშვებისა რომლებიც ხშირად ამშვენებენ ვაზეთის გვერდებს! ვის არ გაახარებს ის უთვალავი რაზმი ფრიადოსანი მოსწავლეებისა, რომელთა შესახებაც ხშირად იწერება ამ ვაზეთში.

ვუსურვოთ ვაზ. „ნორჩ ლენინელს“, რომ მომავალში უფრო საყვარელი, უფრო მიმზიდველი და საინტერესო გახდეს თავისი მკითხველისათვის. ვუსურვოთ უკეთ განახორციელოს თავისი მთავარი მიზანი: აღზრდა გმირი საბჭოთა მოქალაქისა.

1941





ვაზგენი ხაჩატრიანი გაუჩინა სკაფოსუირობი

ტექნიკოსი

წარმოდგინეთ ისეთი უზარმაზარი ბურთი, რომლის დიამეტრი 35 მეტრს უდრის, ე. ი. დაახლოებით შედსართულიანი სახლის ოღენა. თქვენ მყისვე მიხედებით, რომ ასეთი ბურთი არც ფეხბურთისათვის, არც კალათბურთისათვის და მით უმეტეს არც ხელით სათამაშო ბურთად არ გამოადგება. ასეთი ბურთი ჩვენ კავშირში დაამზადეს და მას განსაკუთრებული დანიშნულება ჰქონდა.

ალბათ გაგიგონიათ საბჭოთა სტრატოსტატი „ს.ს.რ.კ.“. ამ სტრატოსტატით უნდა აფრენილიყვნენ ჩვენი გმირი მფრინავები სტრატოსფეროში. და აი სწორედ 1933 წელს, პირველი საბჭოთა სტრატოსტატის „ს.ს.რ.კ.“ საშუალებით შესაძლებელი გახდა 19000 მეტრის სიმაღლეზე აფრენა და მშვიდობიანად დაბრუნება დედამიწაზე.

საბჭოთა მეორე სტრატოსტატმა 1934 წელს პირდაპირ სასწაულებრივ სიმაღლეს მიაღწია — 22000 მეტრზე აფრინდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მეორე გაფრენა შემზარავი კატასტროფით დამთავრდა: სტრატოსტატი და მფრინავები დაიღუპნენ. ამავე წელს დაილდა ამერიკელების სტრატოსტატი, რომელიც გაცილებით უფრო დიდი იყო, ვიდრე „ს.ს.რ.კ.“.

ეს სტრატოსტატი რომ მიწაზე გავეშალათ, იგი დაიკავებდა ცხრა მეათედი (0,9) ჰექტარის ოღენა მოედანს. აირით სავსე ამ სფეროს დიამეტრი 55 მეტრს უდრიდა. იგი 18200 მეტრის სიმაღლეზე ავიდა და ჩამოშვებისას დაიღუპა. მფრინავები გადარჩნენ,

ისინი პარაშუტებით გადმოფრინდნენ 1800 მეტრის სიმაღლიდან.

სტრატოსფეროში აფრენას აწარმოებდნენ ევროპის ზოგიერთ ქვეყნებშიც. 1935 წ. ამერიკელების სტრატოსტატმა „ექსპლორერმა“ შეძლო 23.100 მეტრის სიმაღლეზე აფრენა და მშვიდობიანად დაშვება მიწაზე.

ამ გაფრენებში მონაწილეობას ლეზულობდნენ ცნობილი მეცნიერები, სწავლელები, ინჟინრები, რომელნიც საველისსმო დაკვირვებას ახდენდნენ. მრავალი მათგანი იმსხვერპლა სტრატოსფეროს გამოკვლევამ, მრავალი გადარჩა და მოუთხოვრდნენ საზოგადოებას ნანახ ამბებს და შთაბეჭდილებებს.

მე ვიცი, რომ თქვენ დაგებადათ ბუნებრივი კითხვა: რატომ ილტვიან მეცნიერნი სტრატოსფეროს შესწავლისაკენ, რატომ აყენებენ საფრთხეში შვირფას სიცოცხლეს?

მომისმინეთ და ახლავე დავაკმაყოფილებ თქვენს ცნობისმოყვარეობას, რომ ამით ჩათელი გახდეს, თუ რატომ ეგრე ვამალებით იბრძვიან სტრატოსფეროს დასაპყრობად. გასაგები გახდება ყოველივე ამის შემდეგ აკრთევე ის, თუ რატომ ეპყრობა ასეთი დიდი ინტერესით ამ საქმის წარმატებით დამთავრებას ჩვენი და მთელი მშრომელი კაცობრიობის საყვარელი ბეული ამხ. სტალინი, რომლის დავალების გმირულად შესრულებისათვისაც აფრინდა ვალოდია კოკინაკი თავისი თვითმფრინავით დედამიწიდან რამდენიმე კილომეტრის სიმაღლეზე, საღლაც ცის თაღზე.

დელამიწიდან 12 კილომეტრის სიმაღლეზე იწყება ატმოსფეროს ქვედა ფენებიდან განსხვავებული სტრატოსფეროს არე, რომელსაც მეცნიერებაში ტროპოსფერო ეწოდება. სტრატოსფეროში ცუდ ამინდს ვერ შეხვდებით. ტემპერატურაც მუდმივია: მინუს 45-დან მინუს 60-მდე ცელსიუსით. იქ სრულიად ვერ ნახეთ ნისლი, ჰაეროვან ნაპრალებს და ტრიალა ჭაბს, რომელიც მეტად მძიმე პირობებს უქმნის თვითმფრინავს.

სტრატოსფეროში თვითმფრინავს შეუძლია საათში განავითაროს 1000 კილომეტრი და უფრო მეტი კ. თუ თქვენ განიზრახათ მოსკოვიდან ვლადივოსტოკში გაფრენას სტრატოსფეროს არეთი, მიზანს 12 საათში მიაღწევთ და ვერავითარი ცუდი ამინდი თქვენზე ვერ იმოქმედებს, მაგრამ აბა სცადეთ ჩვეულებრივ პირობებში გაფრენა! რამდენი დრო დაგეხარჯებათ და ხიჯათი შეგხვდებათ გზაში.

სტრატოსფეროს გზით გაფრენა შეუძლებელია ჩვეულებრივი თვითმფრინავებით—ამისათვის საჭიროა სავანგებო მანქანა, რომელსაც სტრატოპლანი ეწოდება და რომლის გაკეთებაც კაცობრიობას ჯერაც ვერ მოახერხებია. ადვილი არ არის ასეთი მანქანის აგება. სტრატოსფეროში ჰაერი მეტად გაიშვიათებულია, ხოლო ამავე დროს კი მფრინავის მოტორს მუშაობისათვის ესაჭიროება მუდმივი ჰაერი, რომელიც შეიცავს ჟანგბადს—წვისათვის საჭირო ნივთიერებას. არის თუ არა სტრატოსფეროში მოტორისათვის საჭირო ჟანგბადი საკმაო რაოდენობით?

ეს ჯერ არავინ იცის. სწორედ ამიტომ სწავლობენ სტრატოსფეროს. უფრო მეტ ინტერესს იწვევს მეცნიერთა შორის სტრატოსფეროში ე. წ. კოსმიური¹⁾ სხივების შესწავლა. რას წარმოადგენს ეს სხივები? ამ უხილავი სხივების მოქმედება სტრატოსფეროში 70-80-ჯერ უფრო მძლავრია, ვიდრე დელამიწის ზედაპირზე. პროფ. მოლჩანოვის თქმით, „უკვე დიდი ხანია სწავლულებმა გამოიანგარიშეს, რომ ყოველი ატომის გულში ბუნებამ შეინახა ენერგიის უდიდესი რაოდენობა, მაგრამ ამ დაფარული ენერგიის გამოყენება ატომიდან ჯერჯერობით შეუძლებელი გახდა.“ ამ საკითხზე მრავალი მეცნიერი თავაუღებლად მუშაობს.

მსოფლიო სამყაროდან მიწის ატმოსფეროში შემოჭრილი კოსმიური სხივები ეცემა რა ატომს, ანერგებს მას უწერილმანეს ნატეხებად. ეს სხივები ღრმად იჭრება მიწასა და წყალში, მაგრამ უფრო მძლავრია მათი მოქმედება სტრატოსფეროში.

ადამიანთა წინაშე წარმოიშვა აზრი: იქნება კოსმოსში სხივებმა მისცეს ადამიანს საშუალება დაეუფლოს ატომის შიგნით?

ახლა ძნელია წინასწარმეტყველება მეცნიერებასა და ტექნიკაში იმ უზარმაზარი გადატრიალების შესახებ, რომელსაც მოახდენდა ატომის სფერო დაუფლება.


ბუნებაზე ადამიანის ეს მომავალი უდიდესი გამარჯვება უკვე მზადდება სტრატოსფეროს დაქინებითი შესწავლით.

ვფიქრობთ, ახლა ზოგადი წარმოდგენა მინცა ვაქეთ იმაზე, თუ რატომ ასე დაქინებით სწავლობენ და იკვლევენ სტრატოსფეროს, რატომ სწირავენ საუკეთესო ადამიანები თავიანთ სიცოცხლეს ამ დიადი საქმის ბრწყინვალე დავერგვინებას, რატომ იხარჯება აუარებელი თანხა და რატომ არის დანეტრეკებული ამხ. სტალინი სტრატოსფეროს დაუფლებით.

ამ აუცილებელი შესავლის შემდეგ გადავიდეთ იმის აღწერაზე, თუ როგორ გაფრინდა ჩვენი საბჭოთა მფრინავი ამხ. ვალოდია კოკინაი სტრატოსფეროში და რა შედეგებით დაბრუნდა ამხ. სტალინის დავალების შესასრულებლად.

ვალოდია გამოცდილი მფრინავია, ჩვენი დიადი სამშობლოს მიწაწყალზე აღზრდილი. მას უყვარს თავისი სოციალისტური სამშობლო და ბელადის დავალების შესასრულებლად სიცოცხლესაც არ ზოგავს.

თვალსაჩინო მფრინავია ვალოდია. იგი იკვლევს და ცდის ყოველ ახალ თვითმფრინავს და მიზნად აქვს დასახული ყოველი ახალი კონსტრუქციის თვითმფრინავით თვით გაფრინდეს, რათა შეამოწმოს რა აკლია, რა როგორ უნდა გადაკეთდეს, რომ თვითმფრინავმა თავისი დანიშნულება გაამართლოს. ახლადშობილი თვითმფრინავი ყოველთვის შეიცავს ამითუიმ ნაკლს, ხარვეზს. კარგი მფრინავი პირველი გაფრენისთანავე შეატყობს ნაკლს, პირველ ხარვეზს. პირველ ნიშუმს ნაკლს შეუსწორებს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ასეთი თვითმფრინავების



მზადება გაფრენისათვის

¹⁾ სიტყვა „კოსმიური“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სამყაროს.

გამოშვება. უმჯობესია ერთის ნაკლი შესაწორო, ვიდრე რამდენიმესი. ყველას თავისი ხელობა აქვს. ზოგი ერთზე ოსტატდება, ზოგი მეორეზე. ვალოლიაც გამანადღერებელი სახის მანქანების ოსტატია, მათი გულის მესაიდუმლე. ყოველი წვრილმანი მისთვის კარგად ცნობილი და შესწავლილია. ვალოლია შეფასებაში არასოდეს არ მოტყუვდება.

ვალოლიას გაზრენა

სულ ოთხი წელიწადია, რაც ვალოლიამ სიმაღლეზე გაზრენის ტექნიკის შესწავლა დაიწყო, და რა ტკბილია ეს მოგონება ვალოლიას ცხოვრებაში! ეს იყო 1932 წ. სამეცნიერო-საგამომცემო ინსტიტუტში. ამ წელს ეს ბედნიერი ვაჟიკი, ვაბედული არწივი, რამდენჯერმე აფრინდა ცის ტატნობზე. 5000-6000 მეტრი იყო ამ აფრენის სიმაღლე და დამთავრა 5 კილომეტრის სიმაღლეზე მოსკოვიდან ხარკოვი და ხარკოვიდან უკან გადმოფრენით. ეს იყო კავშირში პირველი ჯგუფური გადაფრენა სიმაღლეზე.

ლითონის ექვსი არწივი ღებულბოდა მონაწილეობას გადაფრენაში. ერთი მათგანი ვალოლიას ეკუთვნოდა. ეს გადაფრენა წარმოადგენდა როგორც თვითფრინავის, ისე მამაკი მფრინავის გამოცდას. აი რას მოგვითხრობს თვით ვალოლია: «გვეცდით ნისლს. მთელი გზა ისე გავიარეთ, ვერაფერს ვხედავთ. ყველა ექვსი მანქანა გაიფანტა ხარკოვის რაიონში 100 კილომეტრის რადიუსით. მოტორები სიმაღლეზე ფრენისთვის არ იყო მოწყობილი, მფრინავები კარგად არ იცნობდნენ სიმაღლეზე ფრენას და, ამას გარდა, გაფრენის დროს ჩვენ არც თუ იმდენად ამომწურავი პასუხი მივიღეთ ქარის სიძლიერისა და მიმართულების შესახებ. მრავალი წვრილმანი სამუშაო ან არ იყო სათანადოდ გაკეთებული, ან არაა შეტრდანილი იყო შესრულებული. ამის გამო 5000 მეტრის სიმაღლეზე ჩვენ ვერ შევძელით 650 კმ. წესიერად გაფრენა.

ასეთ სიმაღლეზე ფრენას მოუქვევლი ადამიანისათვის ძნელია სუნთქვის მოწყობა და იგი ყლავებს ჰაერის ისე, როგორც მიწაზე გადმოვლდებული თევზი. თუმცა ადამიანი იმავე მოცულობის ჰაერსა ყლავებს, რამდენსაც ღელამიწაზე, რადგან ქანგბადი ნაკლებია, ჰაერიც არ ჰყოფნის სუნთქვისათვის. სრულად სხვა საქმეა, იგი ასეთ სიმაღლეზე მაინც გააფრულია 5000 მეტრის სიმაღლეზე ხანგრძლივ ყოფნაში. მისთვის შედარებით ადვილია ამ კრიზისების გადალახვა. რასაკვირველია, როგორც გააფრული ადამიანიც უნდა იყოს, იგი ასეთ სიმაღლეზე მაინც ვანიცდის ჰაერის სიმკირეს და, ვარდა ამისა, იქაური ყინვაც აიძულებს უფრო მეტად შეივარდოს უჩვეულო პირობები. ასეთ სიმაღლეზე თითქმის ყოველთვის 15-25 გრადუსი ყინვაა.»

1933 წელს ვალოლია უკვე შეიქცია სიმაღლეზე ფრენას და მეტად ხშირი სტუმარი იყო ცის ტატნობისა.

1934 წელს იგი სხვა მფრინავებთან ერთად ისევ სიმაღლით აწივობს გადაფრენას მოსკოვი—კუბინშივე და უკან. ეს იყო უდიდესი მიღწევა როგორც ვალოლიასათვის, ისე მისი თანამგზავნი ვაბედული სათვის.

«ის, რაც ჩვენ 1934 წელს შევასრულეთ, — ამბობს ვალოლია, — უდიდესი ნაბიჯი იყო წინ, მაგრამ სიმაღლე, რასაკვირველია, ჩვენთვის საკმაო არ იყო. წინა გადაფრენათა გამოცდილებამ საშუალება მოგვცა მოგვეხდინა გაფრენა მოსკოვი—კუბინშივე. ყველაში სრული შემადგენლობით მივეფრინეთ და მაინც მთელი რიგი ნაკლი ახასიათებდა ჩვენს გადაფრენას.»

ეს ნაკლი უმთავრესად იმაში მდგომარეობდა, რომ ქანგბადით მომარაგების საკითხებზე სპეციალური აღმანიანი მუშაობდნენ. ორი წელიწადი იწვალეს მოწყობილობაზე, მოაწყეს მანქანები, ხოლო როცა ვალოლია გაფრინდა, მყისვე შეინშა, რომ ქანგბადის ხელსაწყოები ვერ მუშაობდა კარგად.

«მძიმედ ვიგრძენი თავი. ფიზიკურად ძალიან მძლავრი ადამიანი ვარ, კარგად ვაწვრთნილი სიმაღლეზე ფრენაში, მაგრამ კუბინშივე თვითფრინავიდან მაინც ამხანაგების დახმარებით გამოვეყვრა.»

შემთხვევა რუჰასთან

მთელი მგზავრობის მანძილზე ვალოლია არ იშორებდა რუჰას. ლურსმან-ფოლაქებით დამაგრებული რუჰა მუხლებზე ედო. როცა მფრინავი ნისლს აპობს, რუჰა საჭირო არ არის. ვალოლიამაც მიიფიქრა რუჰა, ფრენისას ფეხებზე ჩაუფარდა. გასცდა მფრინავი ღრუბლებს და რუჰის აუცილებლობაც იგრძნო. უქანგბადოდ ფრენით მოიტაცა ვალოლია. ყოყმანობს: რუჰა ავილო თუ არა?

რატომ ყოყმანობს ვალოლია? რა დიდი საქმეა დასწვდენ და აილო საგანი, რომელიც ფეხებთან გდია? აი რას გვეუბნება თვით ვალოლია: «მე აშკარად ვგრძობობდი, რომ თუ დაეღრულები, ძალა აღარ მეყოფა დანარჩენისათვის. დიდხანს ვეჭვირობდი. შემდგომ ვხედავ რალაცა მდინარეს, შემდეგ ქალაქს. საჭიროა რუჰის შემოწმება. «ავიღებ» — ვეჭვირობ, მაგრამ როგორ? გავუსწორე თვალი და ვეძებ, სად იმყოფება რუჰა. დაიწყო ფიქრი: უეცრად დავეწვდეთ, თუ ნელ-ნელა ვიფიქრებ, ვიფიქრე და გადავწყვიტე: უუთესია სწრაფად ავიტაცო.

წინასწარ ავწონ-დავწონე, რომელი ხელით როგორ დაესწვდეთ, როგორი მოძრაობაა საჭირო. ყველაფერი მოფიქრებულია. მოვეშალე. ერთი გიჟივით ამოვტაცე რუჰა. თვალები ამიჭრელდა, კვლავ შვი რკოლები ამითამაშდა თვალეებში, აზროვნების უნარი დამეკარგა.

ნელ-ნელა გონს მოვედი. ვხედავ, სწორედ არ მიგფრინავ; თვითმფრინავი თუმცა იმავე სიმაღლეზეა, მაგრამ ვერაფრულად მივდივარ. გავსინჯე რუჰა, ვარაუდით გავერკვიე სად ვიყავი და რალაც სიმძიმე მომაკლდა. უჰ, რა კარგად ვიგრძენ თავი!»

ვალოდის საუბარი ამხ. სტალინთან


გასულ წელს, 2 მაისს, ამხ. სტალინი აეროდრომზე ესტუმრა მფრინავებს. ვალოდის ეს ბედნიერი დღე არ დაავიწყდება. იგი პირდაპირ უცქეროდა და ესაუბრებოდა ჩვენი ქვეყნის სიბრძნეს—ამხ. სტალინს. სტალინი ესაუბრებოდა ვალოდის და ინჟ. პოლიკარპოვს, საუბარში აღნიშნა ის ამოცანები, რომელიც საბჭოთა ავიაციის წინაშე დგას. ეს ამოცანები სამია: ყველაზე დიდი სისწრაფე, სიმაღლე და სიშორე.

სტალინის საუბარი ვალოდის ოცნების და მოქმედების პროგრამა გახდა. ბელადის შემდეგ ვალოდია ესაუბრა თავის უშუალო უფროსს. შეთანხმდნენ იმაზე, რომ ვალოდის ეფიქრა ბელადის მიერ დასმულ ამოცანათა განხორციელების გზების გამოძებნაზე.

რა საამოა ასეთი ფიქრი, როცა იცი, რომ ფიქრი რომ იმიტომ, რომ ბელადის დავალება შესრულდა! ქეშმარიტად საამოა და ბედნიერებაა მსჭრის შესრულება.

— „რადგან სიმაღლეზე ფრენის გამოცდილება მქონდა და ისეთი მანქანაც შემხვდა, რომელიც ამ თვალსაზრისით იმედს მაძლევდა, შევუდექი სიმაღლეზე აფრენის საკითხის უფრო ღრმად შესწავლას. მფრინავ-გამომცდელის მუშაობას ცდის ხასიათი აქვს და არა კვლევითი. თქვენ გაძლევთ თვითმფრინავს და გეუბნებიან: ამ მანქანით უნდა აფრინდე ამავე თვითმფრინავისათვის ზღვრულ სიმაღლეზეო. გამოანგარიშების მიხედვით უნდა აფრინდეთ, ვთქვათ, 12.000 მეტრზე. მფრინავი ჯდება მანქანაზე და მიფრინავს. აფრინდები 11500 მეტრზე, აწარმოებ დაკვირვებას და შეგროვილ მასალებს ითვლისწინებ შემდგომი გაფრენისათვის“.

(გაგრძელება იქნება)



(ნ ა წ ყ ვ ა ბ ი)

ბრ. ჩიქოვანი

თითებზე ჩამოითვლება საბავშვო კინოფილმები. მოთხოვნილება კი მათზე დიდია. ამიტომ საბჭოთა კინომატოგრაფიის მთავარმა სამმართველომ გამოაქვეყნა ბრძანება, იმის შესახებ, რომ 1936 წლის გეგმით გათვალისწინებულ კინოფილმებიდან 25 პროცენტი უნდა დეთმოს საბავშვო ფილმებს.

რომ ჩვენი მკითხველები გაეცნონ, თუ რას წარმოადგენს კინოსცენარი და როგორ იწყება იგი, ვბეჭდავთ გრ. ჩიქოვანის სცენარ „ორღედან“ ერთ ნაწილს. „ორღე“ სამეგრელოს ცხოვრებიდანაა აღებული. მასში მოცემულია ის პერიოდი, როდესაც ეკონომიურად გალატაკებული მშრომელი გლეხობა მენშვეიკების ბატონობის უღელქვეშ გმინავდა.

ლაშა...

დასავლეთიდან წამოსული ღრუბლები ნელ-ნელა უახლოვდება მთვარეს. განიერს და ლარივით სწორ გზატკეცილს ორთავე მხრიდან ცაზე აწვდილი აღვის ხეები მიჰყვება. ტოტები ოდნავ ირხევა, ფოთ-

ლები შრიალებს. ფოთლების შრიალი თანდათან გადადის მეგრული ურმულის სიმღერის ხმაზე. სიმღერა შორიდან მოისმის. ნალელიანი კილო მოთქმას უფრო წააგავს, ვიდრე სიმღერას.

— მდღიქმები არაბა ნა...ნა.

მივსარსადლთ მიფქვარქვადლთ ნა.....ნა.
მთვარის სხივები ივერცხლება მდინარეზე, ნელი
ნიაე მთარხევს ზანტ მდინარის ტალღებს.
სიმღერა ახლა უფრო შორიდან ისმის.
მდინარე რკინის ხილით ჰრის გზატკეცილს. გზა-
ტკეცილზე შორიდან გამოჩნდება ურემი. ურემი
თანდათან ახლოვდება.
ურმის მოახლოებასთან ერთად სიმღერის ხმაც
ახლოვდება.



კამეჩები ზანტად მოაბიჯებენ.
ურმის კოფოზე ზის ორღე. თავი კობტად წაუ-
კრავს ყაბალახით. პერანგის ამარაა. ცივა. მუხ-
ლებზე წალდი უღვეს. თვლებს, სიმღერის ხმა ძლიერ-
დება. უფრო ნალვლიანი ხდება.
— ლაკაციაში ღირძე უღუ ნა.....ნა...
მელე მოლე კილარხვილი ნა.....ნა.
დათა ურემზე პირალმა წვეს. თავქვე ორიოდ
უღუთი სიმინდი უღვეს. მღერის დათა. ნიაე მატუ-
ლობს. ფოთლების შრიალი ვადადის ტალღების
რხევაში. მდინარე ზანტად მიიზღაზნება.
კამეჩები გადაუხვევენ ნაკვალევიდან. ორღე გა-
მოერკვევა, სახრეს მოუქნევს, დაყავებით დას-
ძახებს:

— ხი, ლომა, აშო, ბუსქა!
ლომა და ბუსქა ჩადგებიან კვალში.
ღრუბლები უახლოვდება მთვარეს.
მთვარის შუქით განათებულ მოშრიალე ფოთლე-
ბის ფონზე ისმის დათას სიმღერა.
ხიღი.

ხიღის ქვევით ძიკი და მიბა ნაძარცვს იყოფენ.
ნაძარცვებში ურევია ის ქამარ-ხანჯალი, რომელ-
საც დედაკაცი ბაზარზე ყიღდა. სახე ყაბალახით
აქვთ ახვეული. ზურგზე მოკლე ნაბდები მოუღღიათ.
ყელამდე შეიარაღებული არიან.

— ღროა წავიდეთ, მიხა. აწი არავინ არ გამოიე-
ლის. გვეყოფა, რაც ვიშოვეთ, — ეუბნება ძიკი მიხას.
ჩამოშლილ ყაბალახს შეიხსნის. გამოუნდება წერი-
ლი, უწამწამო, ხმალივით ბასრი თვალები, განზე

მოქცეული ცხვირი. თვალებს შეშინებულოვით აცე-
ცებს.

ძიკი კვლავ შეიხვევს სახეს. თავის წილ ნაძარცვე
ჩოხის უბეში ინახავს, თოფს იღლის ქვეშ ამოიღებს
და წასახველად გაემზადება.
დათას სიმღერის ხმამ ხიღამდე მოატანა.
მიხა და ძიკი დაფაცურდნენ, შეფიქრიანდნენ.
ერთმანეთთან ისე მიიქრნენ, თითქოს ორი ხანჯალ-
ამოღებული ერთმანეთს ეძვერაო. ცას შეხედეს. მთვა-
რე ღრუბლებში მიიმალო.

ტყეისფერი ღრუბლების ფონზე ისმის დათას
სიმღერა.

ძიკი და მიხა უსმენენ. ძიკიმ ვადახედა მიხას. ხმა-
დაბლა უთხრა:

„წინასწარ დასტირის თავის ბედს.
ალბათ, მზარი თუ უგრძობისა.“
სიმღერის ხმა უფრო ახლო ისმის.
ძიკი და მიხა ელვასავით მოწყუნდნენ ადგილიდან
და; თითქოს მთვარეს მიბაძესო, სიბნელეში მიი-
მალნენ.

ნიაემა მძლავრად დაბერა. ფოთლები ააშუთილა,
მდინარე აქოჩრა. დათა წამოიჯდა, ცას გახედა. ცა
საწვიმრად ემზადება.

— ღმერთიც გაგვირისხდა, ქვეყანას წვიმაში ახრ-
ჩობს. სამოცი წლის კაცი ვარ, ორღე, და ასეთი
ამინდები არ შემწვრებია. თითქოს ცაც დასტირის
ქვეყნის უბედურებას. ვიჭარბოთ, შეილო, თორემ
საცაა წვიმა დაგვიშენს, — მიმართა დათამ თავის
შვილიშვილს და ისეე წამოწევა, კვლავ აღიღინდა.
ორღემ შემოუძახა კამეჩებს. კამეჩებმა ერთბაშად
უმატეს ნაბიჯს და მერე კვლავ პირვანდელი სი-
ზანტით გააყენენ კვალს. ორღე ხედავს ნაცნობ გზო-
ებს, სახლებს, ქალებს. შორიდან ესმის ძაღლების
გნიასი. თავისი ძაღლის ყფასაც არჩევს. ესმის რულ-
მორეული მამულების ყივილი, უახლოვდება თავის
სოფელს. სახე უბრწყინდება. ფერმკრთალ ლოყაზე



წიგნის წვეთები ეცემა. სიცივისაგან იშმუნებდა. დათა კვლავ ღლინებდა.

— ჩემი კლასილო გემნაზია ნა...ნა...

ჭურია და ნაბადურე ნა...ნა...

ნაღლიანი სიმღერის ხმა თანდათან გადადის ბავშვების ტირილზე. დათას ოდა. კერის პირას ორდეს დედას, ეკას, კალთაში უწევს ბავშვი. ბავშვი ტირის. მის ტირილს ბანს აძლევს იქვე ნაცარში ჩაცუცქეული ნახევრად შიშველი 3-4 წლის ოთარი.

ტირის ბავშვები.

კერის მეორე მხარეს ზის ორდეს უფროსი და ცირუ.

ეკას გამხდარი, ოფლიანი, უმწეო სახე გამოშტერებული თვალებით ჩასცქერის ცეცხლს. ეკას სახის ფონზე განუწყვეტლივ ისმის ბავშვების ტირილი და გახელებული ქარის წვილი.

ოთახში კვამლია. კერაზე ცეცხლი ხრჩოლავს.

ბავშვი ამაოდ ლოინის ძუძუს. ეკას უმწეო სახე თვალებში ცრემლი უქინის.

ცირუ განჯიანიდან გამოიღებდა პატარა ჭადის ნატებს, ხარბად შეათვალიერებს. მოუტანს დედას, შუაზე გატებს, ნახევარს ოთარს მისცემს. ოთარი აჩქარებით ჰუმს, ნახევარს დედას გაუწოდებს.

— ჰამე, დედილო, ორი დღეა შიშვილობ.

ბავშვი ტირის.

ცირუს უპირავს წინ გამოწვდილი ჭადის ნატები. ოთარს ქარი ბულრაობს, სახლის კედლებს წვილით აწყდება.

უკან კარებიდან ვიღაც ფრთხილად აკაკუნებს. გახარებული ცირუ სიხარულით წამოიძახებს:

— ბაბა, ბაბაზია მოვიდა!

ცირუ კარს გააღებს. შემოიჭრება წვიმიანარევი ქარი. შემოდის ჯამლეთ. სახე ყაბალახით აქვს შეხეული. ცალ მხარზე მოკლებულ წვიმისაგან დასველებულ ნაბადს კუთხეში მიადგებს. ყაბალახს მოხსნის. (მოკითხავს ორდესა და დათას. შემინებული ეკა ცირკით) შიშნარევი თვალებს შეანათებს ქმარს.

— ჯერაც არ დაბრუნებულან. იქნებ რამე შეემთხვათ? ორდეს პერანგის ამარა წავიდა.

ჯამლეთი გაამხნეებს ცოლს, ჩამოჯდება. ოთარს აიყვანს, მუხლებზე დაისვაშს და ეფერება. ცირუ მიუჯდება მამას.

— მთელ სოფელში დაგებებენ. გვარდიელები დაგვესხნენ. ნესტორის ოჯახიც ააწიოკეს. ბეგლარ ხეცია მისი ცხენი წაიყვანა, — ეუბნება ცირუ ჯამლეთს.

— ჩვენ ტყეს შევადარეთ თავი.

მე ცოტა ხნით მოვედი. ჩემი გაჩერება აქ არ შეიძლება.

გატრუნული ოთარი ჭკვიანი თვალებით შესცქერის მამას. თითქოს მასაც ესმოდეს მისი სიტყვების აზრი. ნაღლიანად იღიმება. ძუძუს ბავშვს ჩასძინებია კალთაში. ეკა შემინებული თვალებით შეჰყურებს ქმარს.

გარეთ კვლავ ქარი შხვის, საღიაც უსაჩვეოლად გააკვირებს ტურა და მის შეწუხებულ შიშვანს სიცილის ძალები განუწყვეტლივ ყვეფის უხეშს უხეშობას. შორიდან ყრულ ისმის ქუხილის ხმა.

ეკა პირველად ისახავს, ხელებს ზეცისაკენ აღაბრებს.

— ღმერთო, არაფერი გაუქვირო ჩემს ორდესა და დათას.

ოთარი ძირმორეული თვალებით შესცქერის დედას. ურემი ხილს მოადგ.

თითქოს მიწიდან ამოძვრენო, ხილის თავზე აღმართა ძიკისა და მიხას შავი სილუეტები. ადგილები მოსინჯეს. მომავალ ურემს შეავლეს თვალი.

ურემი ხილზე მოდის.

ძიკი და მიხა მიწას გაეკრუნენ.

წვიმიანარევი ქარი სახეში სცემს ორდესა და დათას. ორდეს კედლი პერანგი ტანზე გაჰკვრია. სიცივისაგან ცახცახებს.

წალდი გულში ჩაუხუტებია, მობუზუღა.

ურემში ხილი გაიარა.

დათა მღერის.

ძიკი და მიხა მოწყდნენ ადგილიდან და რამდენიმე ნახტომის შემდეგ ურემზე მოექცნენ.

კამეჩები დაფრთხნენ. ურემი გაიტაცეს, ორდეს წალდით ხელში ვაღმომვარდა ურმიდან.

კამეჩები მთარბენებენ ურემს. დათა, ძიკი და მიხა იბრძვიან. ორდეს წამოხტება, წალდს აიტაცებს და ურემს გამოუდგება. ურმიდან ვაღმომვარდა ძიკი ორდემ ჩაურბინა გვერდით. მიხა და დათა იბრძვიან. მიხას ყაბალახი ჩამოეშალა. დათამ იცნო სოფლის მილიციული მიხა გვიჩია და გაოცებულმა შეშლავლა:

— მიხა, კაცო, შენა ხარ? რას მერჩი, ადამიანო?

მიხამ სატყვარი იძრო.

— სჯობდა არ გეცნე, დათა. აწი ცოცხალს ვეღარ გავიშვებ. — შესძახა მიხამ და მოუქნია სატყვარი. დათა სწვდა მაჯაში.

— მიხა, ჰაიტ, მიხა! შეჰყვირა ისევ დათამ. დათას სახლში ჩამოდის წვიმა, ეკა ზეცისაკენ ხელბაპკობილი ევეღრება ღმერთს:

— მთავარანგელოზო, შენ დიფარე განსაცდელი-საგან ორდეს და დათა.

დათას დაუსხლტა ფეხი, პირალმა წაიქცა ურემზე. მიხამ ჩასცა ხანჯალი. იმავე წუთში ორდეს შეახტა.





ურემს და მიხას წალდის ყუა თავში დასცა. მიხა ერთი შექანდა. ურმიდან გადაიჩეხა და ხრამში დაგორდა.

—ორე, ლომა, ორე...

დასძახა ორდემ კამეჩებს. კამეჩებმა შეანელეს სვლა. ორდემ დასწვდა დათას და წამოსწია. აბრუნებს. დათამ თვალები გაახილა. შეხედა ორდეს და მომაკვდავის ხმით ამოიკენეს:

—თავს უშველე, ორდემ. ვაიქეცი, შვილო...

—ორდემ ეხვევა დათას, შეშინებული ხმით ჩასძახებს:

—ბაბუ, ბაბუჩია, ჩემო ბაბუ! თვალები გაახილე, შემომხედე, ბაბუ!

დათამ თვალები მილულა. გრძნობა დაკარგა. უშწო მდგომარეობაში ჩავარდნილმა ორდემ მოიხედა უკან. დანახა ძიკი, რომელიც ფეხდაფეხ მოსდევდა ურემს.

ორდემ დასკვივლებს კამეჩებს. კამეჩები აძუნძულდებიან.

ძიკი მორბის, დაუახლოვდა ურემს. მოიმარჯვა რევილივერი, დაუმიზნა და ესროლა ორდეს.

ორდემ გადახტა ურმიდან. გადაუხვია გზატკეცილიდან და გარბის მიწდორზე. ძიკი მისდევს.

დათას სახლის წინ უკან ფეხებზე შეტუტულ ძაღლს თავი ზეცისაკენ აუწევია და ყმუის, შეცხადებულივით მოთქვამს. მის ყმუის გნისით ესმაურებიან სოფლის ძაღლები.

ეკას შეშინებული სახე. მკლავები მკერდზე დაუჯვარდინებია. გარინდულა.

განაბული ცირუ შესტკერის დედას. კარში ისევ ისმის ძაღლის მოთქმა.

ჯამლეთ თავდაბრილი ზის. ბავშვებს ჩასძინებიათ.

ურემი მიდის. დათა უგრძობლად დევს ურემზე. მის თეთრ წვერებზე ცვივა წვიმის წვეთები. წვიმის წვეთები წვერიდან მკერდზე ეცემა და თანდათან გადადის სიმიანდის ცვენაში. პირგახსნილი ტომრიდან იბნევა თეთრი სიმიანი და გზატკეცილზე ცვივა. სიმიანდის ჩხრიალი ბავშვების ტირილზე გადადის, თითქოს ბავშვებმა იგრძნეს უკანასკნელი იმედის (ლუკმის) დაკარგვა.

ორდემ შეშორბის სოფელში. მორბის, მიცურავს მუხლებზე ტალახში. ძიკის ნახავს, რომ ღრდემ სოფელში [შეუსწრო, შებრუნდება და უკან გარბის. მიიბრუნს მოკლულ მიხასთან, ზევიდან გადაცემულ ჩიხას და ნაბადს გააძრობს. აშოაკლის ნაძარცვავსაც. მილიციის ფორმაში გამოწყობილი მიხა თავდაღმა აგდია. დაჰყურებს ძიკი. მერე სწრაფად შორდება.

კამეჩებმა გადაუხვიეს გზატკეცილიდან, თემშარას გაჰყენენ. ტომრიდან ცვივა უკანასკნელი მარცვლები. ტომარა დაიცალა.

ეკრის პირას მოჩანს ეკას, ჯამლეთის, ცირუს და ბავშვების უძრავი სილუეტები.

ორდემ თემშარიდან შეიბრინა შუკაში.

—ბაბა, ბაბაჩია, ბაბაჩია, მიშველე, ბაბა! გაჰკივის ორდემ, ეძახის მამას. ორლობზე გადაღვრილი ძაღლები ყუფით ეხმაურებიან.

სოფელს სძინავს.

ქარმა მძლავრად დაბერა, ღრუბლები გადახვეწა და მთვარე კვლავ გამოჩნდა ცაზე.

—ბაბა, ბაბაჩია!

იძახის ისევ ორდემ, გარბის მიწდორზე. წინ მურა მიეგება წყეტუნით და ყმუილით, თითქო უბედურებას მიხვდაო. უკან გატრიალდა, სახლისაკენ მოკურცხლა და კარებს დაეძგერა ყმუილით.

იმავე წუთში ორდემ ღობედან გადახტა თავის ეზოში.

—ბაბა, ბაბაჩია, ვავი, ბაბა...

სახლის კარი გაიღო და იარაღით ხელში აივანზე გამოიჭრა ჯამლეთი.

ჯამლეთს გამოჰყენენ ბავშვებით ხელში ეკა და ცირუ. ჯამლეთი ვეფხევით მოწყდა აღგილიდან. შეიგება შვილს, ხელში აიტაცა.

—რა ამბავია? რა დაემართა, შვილო!

ორდემ სულს ძლივს ითქვამს. ნაწყვეტ-ნაწყვეტად ეუბნება:

—ყაჩაღები დაგვესხენ, ბაბუ მოკლეს! ეკა და ცირუ შეჰკივლებენ.

შუკაში კამეჩებს მოაქვთ ურემი. პარალელურად კადრის ისმის კვილ-წივილი (დაბნელება).





ა. სულავა.

სამოქალაქო ომების ქარცეცხლში გაიზარდა და გამოიბრძმედა წითელი არმიის მრავალი სახელოვანი სარდალი და ხელმძღვანელი, რომელთა შორის ერთი უსაყვარლესი სახელია: კლიმ ვოროშილოვი.

წარსულში, მეფის დროს, როცა ამხ. ვოროშილოვი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, ის მუშაობდა მალაჩოვსა და ქარახნებში.

ქარახანაშივე დაიწყო რევოლუციური მუშაობა. აწყობდა მუშათა რევოლუციურ წრეებს, ავრცელებდა მუშებს შორის ლიტერატურას. დაწყებული ამ ხნიდან, იგი, როგორც პროფესიული რევოლუციონერი ლენინელი, ბოლშევიკი, მუდამ მტკიცედ იბრძოდა. მრავალჯერ იჯდა ციხეში, მრავალჯერ გაცეცულია ციხიდან, იღებდა მონაწილეობას პარტიის უმნიშვნელოვანეს ყრილობაზე საზღვარგარეთაც. არაღვალურად მუშაობდა აგრეთვე ჩვენშიაც, მაგალითად, ქ. ბაქოში 1910 წელს.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ვოროშილოვი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გაგზავნილ იქნა საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად თავის სამშობლო კუთხეში — ლუგანსკში. აქედან იწყება მისი სამხედრო მუშაობის ხანა, და შემდგომ საბჭოთა რუსეთის უმარავ ტერიტორია ბრძოლაში მტკიცდება და იფურჩქნება მისი ნიჭი როგორც სამხედრო ორგანიზატორისა, წითელი არმიის სარდლისა.

იმ პერიოდში, როცა სამოქალაქო ომი დაიწყო, როცა იმპერიალისტური ქვეყნების ჯარებმა შემოუტყეს რევოლუციურ რუსეთს, ახალგაზრდა საბჭოთა მთავრობას ცოცხა ჰყავდა შეიარაღებული ძალები. მის განკარგულებაში იყო წითელგვარდიელთა ნაწილები და ძველი არმიის რევოლუციის მხარეზე გადასული რაზმები.

იქ, სადაც ამჟამად ამართულია საბჭოთა ქვეყნის სიამაყე — სტალინგრადის სატრაქტორო ქარახანა, 1918 წელს წითელმა არმიამ გამართული ბრძოლები გადაიხადა. ამ ბრძოლებს გადაუწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციის ბედისათვის. ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა ჩვენი დიდი ბელადი ამხ. ი. სტალინი.

ცარიკინი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტია: რკინისგზის მთავარი სადგური და ვოლგას უდიდესი ნავსადგური. ცარიკინს გარს შემოერთებენ გენერალ კრასნოვის ჯარები, მაგრამ მტერი, ამხ. ი. სტალინისა და კ. ვოროშილოვის ხელმძღვანელობით, გამართულად მოიგერია წითელმა არმიამ.

რამდენადაც ძლიერდებოდა წითელი არმია, იმდენად ძლიერდებოდა მტრების შემოტევაც. მაგალითად, უკვე 1919 წელს აღმოსავლეთიდან მოსკოვის შემოუტია კოლჩაკის არმიამ, სამხრეთიდან — გენერალ დენიკინმა, ოლდინინმა და სხვ. ამგვარად საბჭოთა ქვეყანას თავს დაესხნენ ყოველი მხრიდან. გან-



საკუთრებით წააწია დენიკინის არმიამ, მან დაიკავა უკრაინა, დონბასი, დონის ოლქი და მიუახლოვდა ქალაქ ტულას. აქედან ახლო იყო მოსკოვი. ამხ. სტალინის მოთხოვნით, დენიკინის ცხენოსანი ჯარის წინააღმდეგ შექმნილ იქნა წითელი ცხენოსანი არმია, რომელსაც მეთაურობდნენ ამხ. ვოროშილოვი და ამხ. ბუდონინი.

პირველი ცხენოსანი არმიის საგმირო ბრძოლების შესახებ დღესაც მღერის ჩვენი ახალგაზრდობა. პირველმა ცხენოსანმა არმიამ გაანადგურა თეთრების კორპუსები. მაგრამ 1920 წელს საბჭოთა რესპუბლიკას თავს დაესხა თეთრი პოლკოვნიკის ანამია, დანიკირა მთელი რიგი ქალაქები, მათ შორის ქ. კიევი. ამავე დროს ბარონ ვრანგელმაც შემოუტია სამხრეთიდან. დიდი ბრძოლების შემდეგ თეთრი გენერლების არმიები მოგერებულ იქნა.

ის სახელოვანი ბრძოლები, რომელიც ცხენოსანმა არმიამ აწარმოვა, — უშუალოდ დაკავშირებულია ამხ. კლ. ვოროშილოვისა და ბუდონინის სახელებთან.

ბრძოლების დროს ამხ. ვოროშილოვი იშვიათ გამჭირაობას, გამბედაობას და ვაჟაკობას იჩენდა. ხშირად თვითონ მიდიოდა მტრების დასაზვერავად,



ტბმოდა ხელჩართულ შეტაკებებში, რის გამოც ბევრჯერ ძლიერ გადაარჩინა ხილათს.

ერთხელ, დონზე გადასვლის დროს, პატარა სოფლის მიმართულებით დახვერვებზე წავიდა ჯავშნოსანი ავტომანქანა. ამ ავტოში ჩაჯდა თვითონ გოროშოლოვი, სოფლის ბოლოს ავტომანქანა უკებ შეეცეთა თეთრგვარდიელ ყაზახების ჯგუფს. ჯავშნოსანი სოფლის ეიწრაში შეუკაში გაეხირა და წინ ვერ დაიძრა. შოფერი დაინდა. ყაზახები სწრაფად შემოტრყნენ ჯავშნოსანს და ტყეები დაუფინეს. გოროშოლოვმა დაამშვიდა შოფერი, დინჯად აუხსნა, თუ რა უნდა ექნა. ჯავშნოსანი ისევ დაიძრა და სწრაფად გაექანა წინ. ყაზახებმა ვერ მოასწრეს გზის გადათხრა. გოროშოლოვი უენებლად დაბრუნდა თავისიანებთან.

ასეთსევე შემთხვევას ჰქონდა ადგილი ცარიცინის ფრონტზე. ამის შესახებ არმიის შტაბის კომისარი ამხ. შადენკო აი რას მოგვითხრობს: „ერთხელ, ნაწილები დავლის დროს, შემთხვევით მტრის ბანაკში მოგვხვდით. ეს იყო თეთრების ბატარეა. შოფერმა ის იყო შემოაბრუნა ავტო, რომ ჩვენგან გამოემართა ცხენოსანი ყაზახი.

— შეხედე, — წაგზურჩულე კლიმს, — ზრიალდნიკი, ჩინები, კოკარდა. ცხენოსანი მოემზადა, რომ ჩვენთვის ხელი აეღო, მაგრამ როცა დაინახა ჩვენი ნიშნები — წითელი ვარსკვლავები — რევოლვერზე იტაკა ხელი. ჩვენც მზად ვიყავით. წუთის განმავლობაში ამხ. გოროშოლოვმა ესროლა ცხენოსანს და ძირს ჩამოაგდო. რამდენიმე ცხენოსანი დაგვედევნა, რომელთაც ავტოლახ სათითაოდ ვაწვდენდით. დაიბნა ბატარეაც, მათ ვერ ავციტებეს სროლა, რადგან მათიანები მოგვედევნენ. სანამ ისინი რაღეს მოიფიქრებდნენ, ჩვენ უკვე მივიძალეთ. ამ შემთხვევის გამო ამხ. გოროშოლოვს უსყვედურა ერთმა ამხანაგმა: განა ასე შეიძლება?

— მაშ როგორ უნდა გაიგო მტრის მდგომარეობა, თუ რისკი არ გასწიე? — უბასხვა გოროშოლოვმა მას, — აი, შემოვიარეთ 50 კლომეტრზე და ახლა ჩვენთვის ნათელია, რა უნდა გავაკეთოთ.

ვრანგელის საწინააღმდეგო ფრონტზე გოროშოლოვი კონკრეტულად მოკლეს. სადღურ ოტრადთან, სადაც ცხენოსანი აომის სავლე შტაბი იმყოფებოდა, ისვენებდნენ მეთაურები, ბუდიონი წმენდა თავის რევოლვერს, გოროშოლოვი ფოლაქს აკერებდა თავის ხალათს. უკებ ორლობეში ატყდა თოფების სროლა. წუთში ყველანი ცხენებზე შესხდნენ. გოროშოლოვს მარდი ცხენი ჰყავდა. ახლოს გამოჩნდა რაღაც ნაწილი. გოროშოლოვს სურდა გაეგო ვისი ნაწილი იყო. გააქროლა ცხენი. ეს ნაწილი თეთრების ესკადრონი აღმოჩნდა. გაქანებულმა ცხენმა იგი პირდაპირ მტრების ესკადრონთან მიაქროლა. სანამ გოროშოლოვი ამოიღებდა რევოლვერს, თეთრები-

დან მის ვილაცამ შუბი ჩაარტყა. საიღბლოდ, მტრის წვერი ნ. ბაღში გაეხირა. ამ დროს მან წამოიწყო შევლა ბუდიონი წითელი ცხენოსნებით.

1921 წელს გოროშოლოვმა მიიღო მონაწილეობა კონშტალტის კონტრარევოლუციური აჯანყების ჩაქრობაში. მანვე გაუმინდა ჩრდილოეთ კავკასია მითარეშე ბანდებისაგან. სამოქალაქო ომებში გმირული მოღვაწეობისთვის ამხ. კ. გოროშოლოვი დაჯილდოებულია სხვადასხვა დროს ოთხი წითელდროშის ორდენით.

სამოქალაქო ომების შემდეგ ამხ. გოროშოლოვი სოციალიზმის მშენებელი ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმის ერთერთი ორგანიზატორია.

პირად ცხოვრებაში ამხ. გოროშოლოვი, მისი უახლოესი ამხანაგების დახასიათებით, თავდაბალი პიროვნებაა და თავისუფალი დროს გაატარება ბუნების წიაღში უყვარს. უყვარს მხატვრული ლიტერატურა, სპორტი და თევზის ქერა. გოროშოლოვი იშვიათი ცხენოსანია და კიდევ უფრო იშვიათი მსროლელი. ამიტომაც წითელ არმიამ რომ ამბობენ: ვისწავლოთ გოროშოლოვისებური სროლა.

ამხ. გოროშოლოვი ამჟამად ორმოცდახუთმეტი წლისაა. იგი ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობის საყვარელი პიროვნებაა.

გოროშოლოვი ჩვენი ქვეყნის დიდი ბელადის ამხ. ი. სტალინის დიდი მეგობარია და მისი ერთგული, მტკიცე მოწაფე.

ამხ. სტალინის შესახებ გოროშოლოვს დაწერილი აქვს შესანიშნავი შრომა „სტალინი და წითელი არმია.“ ამ წიგნში გოროშოლოვი აჩვენებს ამხ. სტალინის გენერალურ როლს სამოქალაქო ომებში.

ამა წლის 25 თებერვლზე ორდენოსანმა საბჭოთა საქართველომ თავისი 15 წლისთავი ილდესასწაულა. ამ დიდ სახალხო დღესასწაულში მონაწილეობა მიიღო ამხ. გოროშოლოვმა. სხვებთან ერთად ამხ. გოროშოლოვს საღურზე პირნერებიც შეხედნენ და ყვავილები გადასცეს.

თავის წერილში საყვარელი სტალინისადმი საქართველოს მშრომელები წერენ:

„სახლვარს კაცო ვერ ვადმოვია, შემოსული მტრად და ვად: რკიბის საბკომს აბარია ეს საზღვრები დასაცავად. და თუ მარშალ გოროშოლოვს დასჭირდება ჩვენი ძალა, — ჩვენი ჯარი მას გაჰყვება ამოვარდნად ქარიშხალად.“

ამით საქართველოს მშრომელებმა გამოხატეს თავისი ღრმა სიყვარული ჩვენი ქვეყნის თავდაცვის სახალხო კომისრისადმი, საბჭოთა კავშირის საამაყო პირველი მარშალისადმი — კლიმ გოროშოლოვისადმი.

ლავრ. ზინინაჟი

ბარფუნში, სულ ზემოთ, ალგეთის ქუჩაზე, მტრედისფერი, ორსართულიანი, შუშაბანდით მორთული სახლი დგას.

იგი ლაშაზია და კოპწია.

ამ ძველებურად მოკაზმულ სახლში ცხოვრობს სიტყვის იშვიათი ოსტატი და დინჯი მკვლევარი იოსებ გრიშაშვილი....

სტუმართმოყვარე კაცია იოსები, წიგნებით იცის გამასპინძლება. ვინ იცის, რამდენნაირ წიგნს მოგიტანს! გავაცნობს შინაარსს, წაგიკითხავს რჩეულ ადგილებს.

ამ სტუმართმოყვარე ოჯახის ხშირი სტუმრებია პოეტები, მწერლები, მეცნიერები...

იგი ყველას გულწრფელი, გულითადი ღიმილით ლებულობს.

პოეტს ორი ოთახი უკავია მეორე სართულზე. იქიდან თითქმის მთელი ტფილისი მოჩანს ორთაქალიდან დიდუბემდის. აივანზე შესვლისთანავე გრძობ რაღაც არაჩვეულებრივს: იატაკზე აქა-იქ წიგნები აწყვია, სკამებზე წიგნებია. აივნის ერთ კუთხეში შუშაბანდიან მიდგმულია პატარა ოთხკუთხი მაგიდა. ამ მაგიდაზე უხვადაა კალმისტრები და მრავალნაირი ფანქრები. ეს პოეტის სახადებულო სამუშაო ადგილია....

ჩვენ აივანზე დავსხედით...

გამიბრათა საუბარი.

სიტყვა აკაკი წერეთლის თანამედროვე მწერალ გიორგი ქალიძედელზე ჩამოვარდა, რომელსაც ცქუთუნის შესანიშნავი ლექსი: „მიყვარს ფაცხა მე მგროლი“...

ამ პოეტის ხსენებაზე იოსები ოთახში შევიდა და ქალაიძედლის ლექსების წიგნი გამოიტანა. ვადავფურცლეთ. სახმელრო ტანისამოსში გამოწყობილი პოეტი რომ დავინახე, დაუფიქრებლად ვთქვი:

—წინათ გენერლებიც იყვნენ პოეტები, ვინ იცის, მაშინ რომ გეცხოვრათ, იქნებ თქვენც გენერალი ყოფილიყავით.

—მე გენერლობას ვინ მომცემდა, კინტო უფრო ვეჭნებოდი, — მიპასუხა ღიმილით.

მერე ოთახში შემიძღვა....

პირველი მისაღები ოთახი პირდაპირ საოცარია, იგი საცხოვრებელ ბინას კი არა, მუზეუმს უფრო მოგავიწყებს. კარების პირდაპირ კედელზე მოჩანს ხალხთა დიდი ბელადის სტალინის პორტრეტი. მეორე კედელი მოფენილია უამრავი ფერადი სურათით. ესენი ძველი ტფილისის ყარაჩოლდები, ქარვლები, ხელისნები და კინტოებია. შუა კედელთან მიდგმულია პატარა მაგიდა. ამ მაგიდაზე მოთავსებულია უწინდელი თერძის ძველი ვეება მაკრატელი, სტვირი და ადლი. იგი იმ მაკრატელს უტყბ ისე



მორიგებს თითებზე, თითქმის ყოფილი თერძიაო. დანარჩენი ორი კედელიც მორთულია ქართულთა გამოჩენილი მოღვაწეების პორტრეტებით.

ამვე ოთახში მუდმივად არის ფაქიზად გაშლილი ლოგინი. შუაში მაგიდა დგას, რომელიც ხალაღ-მოტანილი წიგნებით არის სავსე. ჩვენი მისვლის ჟამს ამ მაგიდაზე სხვა წიგნებს ზემოთ იღო „ამბ. სტალინის საუბარი ბ-ნ რიო ჰოვარდთან“. მე ხელში ავიღე ეს პატარა წიგნი. ვათვლიერებ. რამდენიმე ადგილზე ხაზებია გასმული. ეტყობა, უკვე წაუკითხავს და საუკეთესო ადგილებისათვის ხაზი გაუსვამს. მას მხატვრული ლიტერატურის გარდა ბევრი პოლიტიკური წიგნი აქვს. არცერთ წიგნს არ უშვებს, ყველას იძინს...

იოსები დილით რომ ხელცარიელი გამოვა შინიდან, საღამოს წიგნებით იღლებავსილი ბრუნდება. მეორე ოთახიც ჟურნალებითა და გაზეთებით აქვს გაყვანილი. იქ ოთხივე კედელზე იატაკიდან ქერამდის თაროებია გაკეთებული და ყოველი თარო წიგნებით არის გამოქვდილი. ამ ოთახშიც ერთი ძალიან გრძელი მაგიდაა მოთავსებული. ესეც წიგნებით არის გაყვანილი.

იშვიათია ისეთი ქართული წიგნი, რომელიც ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდება.

პოეტი გულდასმით ჩამოაყვება კედლებსა და თაროებს, გავაცნობს თითოეულ განყოფილებას. ცალცალკე: ქართული, რუსული, სომხური და ირანული



ლიტერატურის განყოფილება. ცალკე უწყევია: „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „წითელი სხივი“ და ჩენი „პიონერი“ და „ოქტომბრელი“. ამ ჟურნალებს არცერთი ნომერი არ აქვია.

დადისარ ოთახში და თითქოს ყოველი კედელი ჩუმად გეჭურჩულება წარსულის ამბებს. იშვიათად ექნება ვინმეს ამისთანა მდიდარი და წესრიგისანი, მოწყობილი ბიბლიოთეკა.

იოსებს წიგნი თავის თავივით უყვარს, მგონი უფრო მეტადაც. როცა კედლებს მიჰყვები და წიგნებს ათვალიერებ, გზადაგზა პოეტი თავის შესახებაც გელაპარაკება:

— მე მესამე ჯგუფიდან გამოვედი. ღარიბი იყო მამაჩემი. ამ უბანში არაფერ არ სწავლობდა. ბევრს ვკითხულობდი, კარგადაც. ამიტომ სულელიორადაც კი ამიყვანეს. თავიდანვე შევეუდექი პატარა ბიბლიოთეკის მოწყობას და აი, ერთი-ორი წიგნიდან ჩემი ბიბლიოთეკა ამხელა ვიზარდა. მე ახლა მიკვირს: ეს ხართუხელი ბიჭი და პოეტი?

ი. გრიშაშვილის არ უყვარს წიგნის განათხოვრება. მასთან კი თუნდაც მთელი კვირაობით იმეცადინე. თუ შეგატყო, რომ წიგნის თხოვას აპირებ, მაშინ ჩარზე გავრულ პატარა ქაღალდს წვაკითხებს:

„მეგობრებო! ჩემს ბინაში რომ მოღიხართ თქე ხშირად, ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, მაგრამ გეტყვით პირდაპირად: თუ არა გსურთ, რომ ჩვენს შორის უმძრახზო ჩამოვარდეს, სურნელბა ჰქონდეს შმორის ჩვენს გულბში დარგულ ვარდებს, თუ არა გსურთ მძლედ და უხმოდ დამიჩავროთ პოეტს გული, —

წიგნებს ნუ მიხზოვთ, წიგნებს ნუ მიხზოვთ, შეისმინეთ ჩემი თქმული!“
ამდენი ხვეწნა-მუდარის შემდეგ მართლ-სწელია წიგნი სთხოვო. იგი თავის ბიბლიოთეკაში დაიარება წყნარად და ყუჩად, ხან ერთ ადგილას მივა, ხან მეორეგან და მუდამ შენიშვნებს იწერს.

ი. გრიშაშვილი დიდი პატივცემით იგონებს ძველ პოეტებს, მაგრამ სულ სხვა არის, როცა აკაკი წერეთელზე ლაპარაკობს: სახე უბრწყინავს და ტურზე ღიმილი უთამაშებს. მაშინვე პატივფონს გადმოიღებს და აკაკის ალაპარაკებს. აკაკი „განთიადს“ კითხულობს. იოსებს ეს ლექსი პოეტის სიცოცხლეშიც ბევრჯერ მოუსმენია, მაგრამ პატივფონზე მაინც გულდასმით უგდებს ყურს. ბოლოს დასძენს:

— რა ლამაზ ქართულს ლაპარაკობს, ცოცხალი მგონია, „განთიადს“ რომ კითხულობს. ჩვენ ძალიან გაუფასებდით უფროს პოეტებს. 1914 წელს ჩემი ლექსების წიგნი გამოვიდა. აკაკი მაშინ ტფილისს იმყოფებოდა, სასტუმროში იყო. სწრაფი ნაბიჯით შევეყევი სასტუმროს კიბეს. აკაკი თავისი შვილით შუა კიბეზე შემომხვდა. ბოდიში მოვიხადე, სხვა ან კი რა უნდა მეთქვა, და ჩემი წიგნი მივაწოდე. ღიმილით გამომართვა და ჩემზე თავის შვილს უთხრა რუსულად:

— Это молодой поэт, который гремит.
ი. გრიშაშვილს ბევრი ღამაზი საბავშო ლექსი აქვს. კარგი იქნება მათი ცალკე წიგნად გამოცემა. მისი სუფთა ლექსი ახალი თაობის ენას უთუოდ გაამდიდრებს.

პოეტს ძალიან უყვარს ჩენი ჟურნალი „პიონერი“ და „ოქტომბრელი“, ხშირად შემოიღის რედაქციაში და ლექსებიც მოაქვს ხოლმე.

ა კ ო უ ი ა ნ ი ღ ა ნ ²)

როს ნახევრად გამხდარ ყინულს ქოლგად ჰხურავს ცის სამყარო, და ტყეს, თოვლებზე გადარკინულს, ახავერდებს ბროლის წყარო,
როს ბაღლივით იფშენეტს თვალბებს ყვავილთ წყება, ყვავილთ რიგი, — მე ჩემში ვგრანობ სულ სხვა ძალებს...
მყავარს იგი!

როს შეეცქერი მთების აზვარს, ზედ ფათალოს ასულს ობლად, როს ტოროლა ჰანგებს ჰხარჯავს ცის და მიწის მახარობლად;

როცა ჯეჯილის ეკონება სიოს ნანა, მზის ციგლიგი, — ჩანგი ეთერს ემონება...
მიყვარს იგი;
და თუ უტბად ამ ღზუნის დროს ამოტყდება ცივი ქარი, ლამობს ზეცა დაიშკვიდროს ელივით, ქვეით, ნიაღვარით, ჩემი სულიც ჰქუხს და დღეავს, იწვის მსხვერპლად, ვით ტარიგი, წვიმა ჰაერს სწმენდს და ჰქელავს —
მიყვარს იგი!

თარგმანი ხომხურით ი. ბრიშაშვილითა.

1) ეს არის ახალგაზრდა პოეტი, რომელიც ქუხს.
2) აკოვ აკოფიანი არის სომხეთის სახალხო პოეტი, მას დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა



1. მსახ. მიქაშავიძე (ავაზაკის როლში); 2. მსახ. დეისაძე (ნაცარქექიას როლში) 3. მსახ. გ. კუპრაშვილი (ვახუშტის როლში)

„ნაცარქექია“ მოზარდ მაყურებელთა თეატრში

ვასო ჩაჩიბაძე

ალბათ არ არის ისეთი ბავშვი, რომელსაც არ მოესმინოს ზღაპარი „ნაცარქექია“. სწორედ ამ ყველაისათვის ცნობილი ზღაპრის გასცენირება განიზრახა მოზარდ მაყურებელთა თეატრმა. ამ ამოცანის გადაწყვეტა რეჟისორმა ბ. გამრეკელმა და მწერალმა გ. ნახუტრიშვილმა იკისრეს და კიდევ მიაღწიეს მიზანს.

ხალხმა ნაცარქექია ფიზიკურად უძლურ, ზარმაც, მოუხერხებულ, ცრუ და ტრაბახა აღიანიანად ავისახა. მაგრამ, მიუხედავად ამ უსუსურობისა, ნაცარქექი ხალხმა მდიდარ ბატონთან, მეფესთან და მღვდლებთან (ლონის-განსახიერებასთან) მაინც გამარჯვებული გამოიყვანა. ამით ხალხმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მდიდარი ბატონები, მეფეები და მღვდლები იმდენად რეგენი და უჭკონი არიან, რომ უსუსურ ნაცარქექიასაც კი ვერ უმკლავდებიან. რა თქმა უნდა, ხალხმა ნაცარქექიას სიზარმაცე და ტრაბახობაც გაიციცა (ამიტომაც ავღებს მას რძალი სახლიდან), მაგრამ ნაცარქექიას მისცა მოხერხების უნარი, რითაც იგი ღონესაც და ბატონების უფლებასაც სძლევს.

თეატრში სწორედ ეს მომენტი ხაზგასმული და სცენიურ სახეებში შესანიშნავად არიან განსახიერებული: რეგენი ბატონი (მსახ. ნ. გვარამია), მისი ცოლი (მსახ. აბრამიშვილი), მათი გამოთავყენებული შვილი ვახუშტი (მსახ. კუპრაშვილი), ცხოვრების ზღმეტი ბარგი, ყოვლად უგუნური მეფე

(მსახ. ქერევაშვილი) და ზღაპრული დივეები. მსახიობების მიერ ამ სახეების შექმნამ უფრო გაამაზებელი ხალხის მძაფრი დაცინვა, მძაფრი სატირა მზავრებულზე.

ეს უსათუოდ პიესის და რეჟისორის ღირსებას წარმოადგენს.

პარალელ, უყურებთ ნაცარქექიას (მსახ. გ. დევი-



აქტორი-რეჟისორი ბორია გამრეკელი



საძე და ვ. ნინუა), ამ უქნარა და ცრუბენტელა კაცს, დევებთან, ყაჩაღებთან და ბატონთან ბრძოლაში და გეცინებთ, იცინით ნაცარქექიას „ხმა-ლა“ და გაბედულ სიტყვებზე, რომელსაც ბრმა-დღეებზე დევები. ხარბი, ბოროტი, მაგრამ ამავე დროს უსუნური და რუგვენი ბატონიც მასთან წაგებული რჩება, რითაც ორიათას მანეთს ოშოვის ნაცარქექია. იმიტომ არის თეატრში ჯანსილი სიცილი, იმიტომ უკრავენ ტაშს ბავშვები ნაცარქექიას, რომ იგი ამარტყებს ძლიერებს. მაგრამ ბავშვი დასცინის ნაცარქექიას, როდესაც იგი ტრახახბოს, როდესაც იგი ნაცარს ქექავს და მუშაობის გავონებაზე ავად-მყოფობას იგონებს. აქ არ უკრავს ტაშს მაყურებელი ბავშვი, პირიქით, დასცინის, დასცინის ჯანსალად, კრიტიკულად.

საერთოდ, ნაცარქექია თუ საყვარელი ხდება მაყურებლისათვის, მხოლოდ იმიტომ, რომ ლაბრბი, დაჩაგრული იმარჯვებს ძლიერებზე. ეს არის ხახვანსმული რეჟისორის მიერ და უსათუოდ სწორია

ამ მომენტის დრამატურგიული და სცენიური განსახიერება.

ამრიგად, მ. მ. თეატრში „ნაცარქექია“ სეზონის ერთეულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ხაზს ვუსვამთ სიტყვას „მიღწევად“ იმიტომ, რომ პიესა სცენიურად მშვენიერად არის განსახიერებული. შესანიშნავია, მაგალითად, „ნაცარქექიას მოგონება ხალიჩით“ და „სუფრის გაშლა“. ეს სურათები ზღაპრის მართლაც მოხდენილი სცენიური გაცოცხლებაა. ყველაფერ ამას კი მშვენიერ შინაარსთან დეკორაციის იძლევა მხატვარი გოციონიძე. აღსანიშნავია დევების ბინა—გამოქანებული და გვირაბები, ტყე და ფონი, თოვლიანი მთები, ვარსკვლავებით მოქედილი ცა შევის სისახლიდან.

დასასრულ აღვნიშნავ, რომ პიესა „ნაცარქექია“ ბავშვებისათვის მეტად საინტერესო და მიმზიდველია, იგი ბავშვის გონებისა, მოსაზრებისა და ფანტაზიის განვითარების ერთგორ მეტად ცოცხალი და ადვილად ასათვისებელი საშუალებაა.

ჭ ე რ ა ე კ ი

3. გოგლიძე

პირველად ჭადრაკი ინდოეთში წარმოიშვა 200 წლის წინათ. მაშინ მას „შატრანჯ“ ეწოდებოდა. ეს სახელწოდება წარმოიშვა ინდურ სიტყვიდან „ჩატრანგა“, რაც ნიშნავს „ოთხნაწილიანი“. რას ნიშნავს „ოთხნაწილიანი“, რატომ ეწოდება ასე?

საქმე ისაა, რომ იმ შორეულ წარსულში ინდოეთის ჯარი დაყოფილი იყო ოთხ ნაწილად: ქვეითა, მხედრები, საბრძოლო ეტლები და სპილოები.

ასევე იყოფოდა ჭადრაკის ფიგურებიც—პაიკი, მხედარი, კუ და ეტლი. ჯარის მართვლენე შაჰი და ვეზირი. ჭადრაკის ფიგურების სვლაც ჯარის მოძრაობას შეეფარებოდა. განუსაზღვრელი იყო შაჰის (მეფის) ძალა, იგი დადიოდა საჭადრაკო დაფაზე ყოველი მიმართულებით, მისი ვეზირი (ლაზიერი) კი მხოლოდ ერთი მიმართულებით—ირიბად. ვეზირის იმდენი ძალა არ გააჩნდა, როგორც შაჰს.

დანარჩენი ფიგურები ისე დადიოდნენ, როგორც ახლა. საბრძოლო ეტლები (კუ) დაქირდნენ დიაგონალზე, მხედრები მიაქნებდნენ მიხვეულ-მოხვეული გზით, სპილოები (ეტლი) მიიმედ და შეუპოვრად მიბაიჯებდნენ პირდაპირი მიმართულებით და ყველაფერს ანადღერებდნენ თავის გზაზე, ქვეითა ჯარი კი (პაიკები) ნელა მიიწევდა წინ უჯრიდან უჯრად.

ჭადრაკის ფიგურების წყობაც შეეფარებოდა ინდოეთის ჯარის საბრძოლო წყობას. წინ იდგა ქვეითა ჯარი (პაიკები), გვერდებზე—სპილოები (ეტლები), შემდეგ—მხედრები, საბრძოლო ეტლი (კუ), შუაში შაჰი (მეფე) და მისი ვეზირი (ლაზიერი).

აქედან ჩანს, რომ ჭადრაკი ინდოეთში საშხედრო თამაში ყოფილა. ორი მოთამაშე საჭადრაკო დაფაზე აწყობდა თავის ჯარებს, და ასე იბრძოდნენ და იწრთობდნენ საშხედრო საქმეში.

ჭადრაკი ინდოელებისაგან გადაიღეს არაბებმა. თავის მხრივ, არაბებმა, როდესაც მათ დაიპყრეს ესპანეთი, ჭადრაკის თამაში ევროპაში შეიტანეს.

ევროპაში ჭადრაკს დიდხანს იმავე წესით თამაშობდნენ, როგორც ინდოელები. იმის გამო, რომ ინდოელ ვეზირს (ლაზიერს) და საბრძოლო ეტლებს (კუ) მეტივე გასაქანი ჰქონდათ, თამაშიც ნელა მიმდინარეობდა ხოლმე. ეს აღმოსავლური დინჯი მოძრაობა ეხამუშებოდა მკვირცხლ ესპანელებს. ვარდა ამისა, ევროპული ჯარების წყობა სრულებით არ შეესაბამებოდა ინდოელ ჯარების წყობას, ასე რომ თამაში თანდათან შეიცვალა და ისეთი სახე მიიღო, როგორიც ამჟამად აქვს.

ვინ თამაშობდა წინათ ჭადრაკს? რასაკვირველია, არა ვაჭირებულები ადამიანი, რომელიც წელზე ფეხს იდგამდა ლუკმა პურისათვის. ჭადრაკს თამაშობდნენ მოკლელო ადამიანები—თავადები, აზნაურები, ბერები, ვაჭრები და მძინე მათი.

თუ ლატაკებს შორის აღმოჩნდებოდა ნიჭიერი მოჭადრაკე, მას წამსვე მიგვირდნენ თავიდან მსახურად. მსახური—მოჭადრაკე ვალდებული იყო ეთამაშა ჭადრაკი ბატონთან, გაერთო იგი და მისი სტუმრები, მაგრამ ისე, რომ არ გაეფაჯებოდა თავისი ბატონი,—თუ საჭირო იქნებოდა, განგებ უნდა წაეგო პარტია, რომ ბატონს არ სწყენოდა.

ჭადრაკი, როგორც ვხედავთ, მაშინ მხოლოდ გა-



ბოტენიკი და რიუმინი მე-III-ე საერთაშორისო საქადრაკო ტურნირზე

სართობი თამაში იყო. არავითარი საქადრაკო ტურნირები არ ეწყობოდა.

მხოლოდ მე-18 საუკუნეში დაიწყო პირველად საქადრაკო ტურნირების მოწყობა და პირველად გამოჩნდნენ პროფესიონალი მოქადრაკეები. პირველი ასეთი პროფესიონალი იყო ფრანგი მოქადრაკე ფრანსუა-ანდრე ფილიდორი. ათი წლის იყო ფილიდორი, როდესაც იგი შევიდა სამეფო მგალობელთა გუნდში ვერსალში. მგალობელთა გუნდის მუსიკოსები ჩვეულებრივ რეპეტიციების მოლოდინში თამაშობდნენ ხოლმე ქადრას. ფილიდორი ყოველთვის დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მათ თამაშს. ერთხელ ერთი მუსიკოსი ისე ადრე მოვიდა რეპეტიციაზე, რომ ამხანაგებიდან არავინ დახვდა. დაიწყო ბუზღუნის იმის გამო, რომ არ შეეძლო გართობილიყო ქადრაკის თამაშით. პატარა ფილიდორმა უთხრა მე მეთამაშეო. მუსიკოსმა გადინახარა და ხუმრობით დაუწყო თამაში. მაგრამ ხუმრობა მალე დაავიწყდა მას, რადგან პატარა მოქადრაკე მეტად ძლიერი მოწინააღმდეგე აღმოჩნდა.

რამდენიმე სელის შემდეგ ფილიდორმა მიაძახა „შამათი“ და ისე მოკურცხლა, რომ გაჯავრებულმა დამარცხებულმა მოქადრაკემ ვერ მოასწრო მისთვის ყურის აწვივა და ამით ჯავრის ამოყრა.

18 წლის ფილიდორს პარიზში უკვე ვერავინ შეედრებოდა ქადრაკის თამაშში. მან თავი გაანება მგალობელთა გუნდს და შემოიარა გერმანია ინგლისი, პოლანდია, თამაშობდა ქადრას და სანაძლეოში დიდალ ფულს იგებდა. ცხრა წლის შემდეგ დაამარცხა მან იმ დროს ყველა ცნობილი მოქადრაკე და კვლავ ხელი მოჰკიდა მუსიკას ქადრას თამაშობდა ხანგამოშვებით, ფულისათვის. ფილიდორი თავისი დროის შესანიშნავი მოქადრაკე იყო და მუსიკოსიც.

პირველი საერთაშორისო საქადრაკო ტურნირი ლონდონში შედგა 1851 წელს, სადაც პირველად მსოფლიო ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა ადოლფ ანდერსენმა.

რუსეთში ქადრაკის თამაში თათრებმა შემოიტანეს ხუთასი წლის წინათ. ცხადია, ქადრას აქაც თამაშობდნენ თავადები, მდიდრები. ამბობენ, რომ მეფე ივანე მრისხანეს მეტად უყვარდა ქადრაკის თამაში. მას სული ამოძვრა საქადრაკო დაფათან ერთერთი პარტიის თამაშის დროს ისე, რომ ამ პარტიის დამთავრება ვერ მოასწრო.

მხოლოდ გასულ საუკუნეში შეიჭრა ქადრაკის თამაში ფართო მასაში—მოხელეთა წრეში. და აი, მოლოდინულად სახელი გაითქვა ერთმა, აქამდე უცნობმა, წვრილმა მოხელემ—ჩიგორინმა.

ოქტომბრის დიდი რევოლუციის შემდეგ საბჭოთა კავშირში ქადრაკის ხსენებაც არ იყო 1922 წლამდე. თავგანწირული ბრძოლის პერიოდში ვინ მოიცილიდა ქადრაკისათვის. მხოლოდ 1922 წ. შეიქნა სრულიად რუსეთის საქადრაკო კავშირი. 1924 წ. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოსთან შეიქმნა სრულიად საკავშირო საქადრაკო სექცია ნ. ვ. კრილენკოს თავმჯდომარეობით. ამ მომენტიდან საქადრაკო მოძრაობა საბჭოთა კავშირში გიგანტური ნაბიჯით წავიდა წინ.

1935 წლის 14 მარტს მსკოვში დამთავრდა მეორე საერთაშორისო საქადრაკო ტურნირი. ტურნირის შედეგებმა დაგვანახა, რომ საბჭოთა მოქადრაკეები არ ჩამოუფარდებიან სხვა ქვეყნების მოქადრაკეებს.

14 მაისს მოსკოვში დაიწყო მესამე საერთაშორისო საქადრაკო ტურნირი, რომლის შესახებ შემდეგ ნომერში ვიბაასებთ.

პუნიკობი



დ. შამათავა

ტფილისში, ლენინის უბანში თუ ყოფილხაროტი რკინისგზის სადგურის ზემოთ, მაღალთალებიან ხიხის რომ გადავიდეთ (იქ მუდამ ორთქლმავლები შიშინებენ და ელექტროავლების სირენები კვიან...) იქ იწყება ლენინის უბანი, წინათ რომ ხაშალადვეს ცახსდნენ. რამდენჯერ აქ, გახაზულის კრილა ცისქვეშ, დაუზერეთათ პირველმისობას მუშა დემონსტრანტები და შემდეგ მაისის საღამოს, ბინდებთან ერთად, დაზოცილ მშრომელთა დედების გულის გამაწვრილებელი კენესა-ვაება მოუტანია...

აქვე, ამ ლამაზ ალუბლისა და ატმის რგულებით აყვავებულ უბნის ქუჩებით, უფლია ყმაველიობისას დიდ სტალინს, ფარული კრებები გაუმართავს, სტამბები მოუწყვია პროკლამაციების დასაბეჭდად და მშრომელთა დიდი საქმე უქეთებია.

და ახლა გაიშალა ის ნაყოფი, ხალხთა დიდმა ბეჭადმა რომ დარგო.

ეს ნაყოფი ჩვენი საამური ცხოვრებაა, ასე რომ ესათუება და ანებიერებს ჩვენი ბედნიერ თაობას...

ამ რამდენიმე თვის წინ ლენინის უბნის მოსწავლე პიონერებმა შესანიშნავი სურვილი გამოთქვეს: მათ უნდათ გააკეთონ საბავშო რკინისგზა ელექტრომავლით. ვის აღირსებდა ძველად, მეფის დროს, ბავშვებს ასეთ რამეს. ნაიალადვე ამ უბანს იმიტომ უწოდეს, რომ მოქალაქეები კი მეფის ეანდარმების სურვილის მიუხედავად ესახლებოდნენ აქ...

ახლა მხოლოდ ჩვენში, ვალდებულ საბჭოთა მხარეში, შეიძლება ფრთები შეესხას ბავშვების ჯანსაღ ოცნებას, სურვილსა და მისწრაფებას. ბავშვებს ჩვენი უფროსი ამაზნავები ეხმარებიან.

ერთი კოლომეტრი ეწეება სივრცე ამ პატარა რკინისგზას, ლენინის რაიონის საბჭოს შენობიდან პლენხარის სახელობის კლუბამდის. ლიანდაგის ორივე მხარეზე კვიპაროსის ხეები ჩაირაზმებიან, ყვავილებითა და მწვანე ბუჩქებით აფერადდება საამურად ლიანდაგის გასწვრივ მანჩრიალუ პატარა მდინარის ნაპირები. ამ ზაფხულს აკრებდა პირველი ელექტრომავლის სირენა და გამოუთქმელი სისაოლოთი ალაფთობა მისი ტფილისელ ბავშვებს...

ამჟამად შეხვეწილი სალიანდაგო გაა. უფროსი ამზანავები—ინჟინერები, აგრონომები— ეხმარებიან პატარებს. სამუშაოები ლენინთა კომკავშირის ძე-X ყრილობის საბელსატორებს. ხოლო ელექტრომავლის დიდი მშობლიური სტალინის სახელი ეწოდა.

ყოველდღე იქ პატარების ფუსფუსნი; იქ ერთი ჯგუფი მდინარის კალაპოტს წმენდს... აგერ სანიტარობის რაზმიც თეთრი, მზებზე მოჭათათუ ხალათებით, მკლავზე რაული ჯვრის ნიშნებით და მხარზე პატარა საათთაქო ყუთებით.

ქვევით კი, ხილთან, ბიჭებს ქვა და სილა მოუზიდეთ ცემენტის ხოდის დასამაგრებლად.

აგერ პატარა გოგონამ სანიტართა რაზმის ხელმძღვანელს უხმო:

— სამი კაცი გამოყავი, ნუნუ, სამუშაოებზე სისმელი წყალი მიაწოდეთ!

შემდეგ შემოტრიალდა, ხელი გაბედვით გამოგვიწოდა და თამამად თქვა:

— ნელი გილისკაია, მშენებლობის უფროსი... ეს გახაზული მეთორმეტეა ამ ცქიალა გოგონასათვის, მაგრამ გააკვირდებათ, ისეთი რიხიანა და საქმიანი.

— გაიცანით, პიონერი თამარ გოჩიაშვილი, მშენებლობის პოლიტგანყოფილების უფროსი! — გვაცნობს ნელი.

— ესეც ჩვენი გახეთის „სტალინის ელმავალი“-ს რედაქტორი, პიონერი ზამთარაძე.

პატარა ბიჭუნა იღიმება და ხელს მაგრად გვართმევს...

ქვევით, მდინარის პირად, გოგო-ბიჭები შეგროვილან, თათბირობენ, აგრონომს რომ დინჯად ელაპარაკება და ხელს სამუშაოებისკენ იწვევს, ეს პიონერი გელაშვილია, გამწვანების ტრესტის უფროსი და განა შეიძლება მათი სათითაოდ გაცნობა?! შეიდასამდის ფრიალოსანი მოსწავლის წკრიალა ხმა სიხარულით ეფინება ალუბლის რგულებით აყვავებულ ლენინის უბანს.

ორბოდე თვის შემდეგ მზად იქნება რკინისგზა და ელექტრომავალი თავისი რბილი და მკვირი ვაგონებით.

მაღე იკავლებს პირველი ელექტრომავლის სირენა, პაწია შემანქანე საქებს ვადასწევს, დაიარება ელექტრომავალი, გაჰკეთეს პარს, ვადივლის ხიდებს ზათქით და ხმაურით, მომეტეულად დაიგუაუნებს პაწია გვირაბის ვავლისას და უჩვეულო აღფრთოვანებით გაქანებს პატარებს სადგურიდან სადგურამდის.



„პიონერი“

საბ. ა. ლ. კ. კ. ცეკასა და

საბ. ბანსასომის ერთობი-

ური ჟურნალი

№ 6

ივნისი-1936

წელიწადი 88-11

საბ. კ. კ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა
„კომუნისტი“

რედაქციის მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 34
ტელ. № 3-02 61

შ ი ნ ა ა რ ს ი

- 1. „ნორჩი ლენინელი“ ს. იუბილე 1
- 2. ვალოდია კოკინაკის გაფრენა სტრატოსფეროში—ტექნიკოსისა . 2
- 3. ორდე—გრ. ჩიქოვანისა 5
- 4. საბუთა კავშირის პირველი მარშალი—სულავასი 9
- 5. იოსებ გრიშაშვილი—ლავრ. ჭიჭინაძისა 11
- 6. აკოფიანიდან—ლექსი თარგმნილი სომხურიდან ი. გრიშაშვილის მიერ 12
- 7. „ნაკარქეკია“ მოხარდ მაყურებელთა თეატრში—ვ. ჩაჩიბაიასი . 13
- 8. ქარაკი—ვ. გოგლიძისა 14
- 9. მშენებლები—დ. შამათავასი 16

ქურნალი გაფორმებულია მხ. ს. ქოქიაშვილისა და ჩაჩბას მიერ.

პ/შგ. რედაქტორი. მ. თომბაძე

პ/შგ. მდივანი: ელ. აბლაძე



გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ბავშვორები:

- | | |
|-----------------------|---------------------|
| 1. სოსო კინწურაშვილი | 7. მუხრან კიკოშვილი |
| 2. თენია ოქიტაშვილი | 8. ჯულიეტა ანთაძე |
| 3. ფარიკო ერთელიშვილი | 9. რუბენ ჭოხონელიძე |
| 4. ოთარ გერშანიშვილი | 6. შოთა გავოშვიძე |
| 5. ნიკოლოზ ჯაში | |